№923 2015 წლის 11 მაისი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის გასაფორმებელი ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტის მოწონების შესახებ

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტების შესაბამისად, მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის გასაფორმებელი ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 62-ე და 61-ე მუხლიების შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს მთავრობასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის გასაფორმებელი ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტის მოწონების, ინვესტორთა საბჭოს შექმნისა და მის საქმიანობასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №829 განკარგულების პირველი პუნქტი.

3. განკარგულება ძალაშია 2015 წლის 12 მაისიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**